



## ხელშეკრულება №

საგანმანათლებლო მომსახურების გაწევაზე

ქ. ზუგდიდი

« \_\_\_\_ » \_\_\_\_\_ 2014 წ.

**პრემბულა:** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასკოლო განათლების დამკვიდრებას მსოფლიო დონის პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება სჭირდება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ალექსანდრე ღურჭკაიას გიმნაზია-ჯიჯი», შემდეგში წოდებული «შემსრულებელი», რომელიც მოქმედებს გიმნაზიის მართვის შესახებ კერძო მესაკუთრესთან ქონების მინდობის ხელშეკრულებით და ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, წარმოდგენილი გიმნაზიის დირექტორის ჯამბულ ნაჭყებიას სახით, მოქმედი შრომითი ხელშეკრულებით და მინდობილობის საფუძველზე, ერთი მხრივ, და მოქალაქე \_\_\_\_\_ მეორე მხრივ, რომელიც არის მოსწავლის \_\_\_\_\_ მშობელი (მეურვე, კანონიერი წარმომადგენელი), შემდეგში წოდებული «შემკვეთი», ორივე ერთად წოდებულნი - «მხარეები», საქართველოს სამოქალაქო კოდექსის,

საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ, გიმნაზიის შინაგანაწესის საფუძველზე შეთანხმდნენ დადონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, სრულად და ჯეროვნად გაუწიოს შემკვეთის მიერ მითითებულ, საქართველოს კანონმდებლობით და გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნებით ჩარიცხულ მოსწავლეს, კერძოდ \_\_\_\_\_, შემდეგში წოდებული “მოსწავლე”, საგანმანათლებლო მომსახურება \_\_\_\_\_ საფეხურზე - --- კლასში და უფლებამოსილია მოსთხოვოს “შემკვეთს” წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება, ხოლო “შემკვეთი” უფლებამოსილია, სრულად და ჯეროვნად მიიღოს საგანმანათლებლო მომსახურება მის მიერ მითითებული მოსწავლისთვის. “შემკვეთი” კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს საგანმანათლებლო მომსახურებისათვის, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასური.

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 «შემსრულებელი» ვალდებულია:

2.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად გაუწიოს მოსწავლეს საგანმანათლებლო მომსახურება 2014-2015 სასწავლო წელს.

2.1.2. უზრუნველყოს მოსწავლისათვის სათანადო საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

2.1.3. იზრუნოს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამებით, მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფილ სივრცეში.

2.1.4. არაუმეტეს სამ დღეში გასცეს წერილობითი პასუხი «შემკვეთს», წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.8 პუნქტში მითითებულ წერილობით თხოვნაზე, «შემსრულებლის» მიერ განხილული და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2.1.5. საწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები, მოსწავლის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

2.1.6. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს განახორციელოს მოსწავლის სამედიცინო დახმარება საქართველოს კანონმდებლობით და გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში, პროფილაქტიკური და პირველადი დახმარების მოცულობით. ამასთანავე, შეატყობინოს შემკვეთს და თუ ამას საჭიროება მოითხოვს, სასწრაფო დახმარებას.

2.1.7. შექმნას პირობები მოსწავლის ხარისხიანი კვებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით და გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრულ ფარგლებში.

2.1.8. სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლის ავადმყოფობის, კარანტინის, მშობელთა შვებულების და სხვა შესაძლო საპატიო მიზეზით გაცდენილი დროის შემთხვევაში შეუნარჩუნოს ადგილი ჯგუფში მოსწავლეს, თუ ეს მონაკვეთი შემკვეთის მიერ გადახდილია, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად.

2.1.9. განახორციელოს მოსწავლის ცოდნის მიმდინარე, შუალედური და საბოლოო შეფასება ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების შესაბამისად

2.1.10. არანაკლებ კვარტალში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია შემკვეთს მოსწავლის პრობლემებსა და მიღწევებზე.

2.1.11. მიაწოდოს ინფორმაცია შემკვეთს საგანმანათლებლო პროცესში ცვლილებების შესახებ.

2.2. შემკვეთი ვალდებულია:

2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე გაეცნოს გიმნაზიის შინაგანაწესს, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას;

2.2.2. დღის განრიგისა და ცხრილის შესაბამისად თავის დროზე განახორციელოს მოსწავლის გიმნაზიაში მოყვანა და წაყვანა;

2.2.3. მინიმუმ ყოველკვირეულად გაეცნოს და მოაწეროს ხელი მოსწავლის დღიურს.

2.2.4. მოსწავლის გიმნაზიაში გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში ამის შესახებ მიზეზის ახსნით შეატყობინოს დამრიგებელს ან დირექციის წარმომადგენელს;

2.2.5. გიმნაზიის დასწრების პირველ დღეს წარუდგინოს დირექციას გაცდენის ოფიციალური ახსნა-განმარტება, ცნობა, განცხადება;

2.2.6. თუ მოსწავლემ გააცდინა სასწავლო დღე (დღეები) არასაპატიო მიზეზით, გამოტოვებული სასწავლო მასალების ათვისებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემკვეთს;

2.2.7. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით, დროითა და წესით მოახდინოს სწავლის საფასურის გადახდა;

2.2.8. სწავლის საფასურის დროულად გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში, გადახდის ვადის დადგომის არანაკლებ სამი დღით ადრე, წერილობით მიმართოს შემსრულებელს თხოვნით, გადახდის არაუმეტეს ერთი თვით განვადების შესახებ.

2.2.9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აუნაზღაუროს შემსრულებელს მოსწავლის მიერ მიყენებული ზიანი რომელიც შეიძლება მიყენებულ იყოს მოსწავლის მიერ, საგანმანათლებლო სივრცეში მდებარე ქონებაზე ან ამ სივრცეში მყოფი მესამე პირთა ნივთებზე, ასევე დავალიანება. ანაზღაურების მოცულობა და დრო განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2.2.10. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხი აგოს მოსწავლის მიერ გიმნაზიის სხვა მოსწავლეებზე ან თანამშრომლებზე ფიზიკური ან სხვა ზიანის მიყენების შემთხვევაში.

### 3. მხარეთა უფლებები

3.1. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.1.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს სწავლის საფასური, კომუნალური მომსახურების, იჯარის, ხელფასების, ინფლაციის და სხვა აუცილებელი ხარჯების ზრდასთან დაკავშირებული მიზეზების გამო.

3.1.2. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შემკვეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, რომლის შესახებ შეატყობინებს შემკვეთს ორი კვირით ადრე. თუ დარჩენილი დავალიანება არ იქნა შემკვეთის მიერ გადახდილი, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის დროიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, შემსრულებელი მიმართავს სასამართლოს.

3.1.3. სწავლების ეფექტურობის ამაღლების მიზნით შეარჩიოს, დაამუშაოს, დანერგოს ახალი სასწავლო პროგრამები და მეთოდები.

3.1.4. დამოუკიდებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეადგინოს და შეცვალოს სასკოლო სასწავლო გეგმა, გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი, არდადეგების ხანგრძლივობა და დრო, სასწავლო დღისა და გაკვეთილების ხანგრძლივობა.

ბ) განსაზღვროს მშობელთა კრებების ჩატარების პერიოდულობა და ფორმები, მშობელთათვის სასწავლო პროცესზე დაკვირვების გრაფიკი.

გ) განსაზღვროს ადამიანური რესურსების საჭიროება და პერსონალური შემადგენლობა, დანიშნოს და გაათავისუფლოს პედაგოგები და კლასის დამრიგებლები.

დ) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს პარალელური კლასების გახსნა ან ჯგუფის გაყოფა ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხოურ ენებში, თუ კლასში დადგენილი რაოდენობის მოსწავლეზე მეტია, ასევე ერთი საფეხურის ფარგლებში სხვადასხვა კლასის მოსწავლეების დაჯგუფება ენის ფლობის დონეების მიხედვით და კლას-კომპლექტების შექმნა.

3.1.5. ორგანიზება გაუკეთოს გაკვეთილებს დამატებით სავალდებულო და ფაკულტატურ საგნებში და ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

3.1.6. შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი და/ან ამორიცხოს მოსწავლეთა სიიდან, რაც ავტომატურად იქნება მიზეზი ხელშეკრულების შეწყვეტისა.

3.2. შემკვეთი უფლებამოსილია:

3.2.1. დაიცვას მოსწავლის კანონიერი უფლებები და ინტერესები. მოითხოვოს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა და მიიღოს მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა.

3.2.2. მიიღოს შემკვეთისგან:

ა) ნორმატიული აქტები და დებულებები გაცნობის მიზნით;

ბ) ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე;

გ) ინფორმაცია მოსწავლის აკადემიურ დონეზე, ქცევებზე და სხვა.

დ) ინფორმაცია გიმნაზიის განვითარების პერსპექტივების შესახებ;

3.2.3. შემოიტანოს წინადადებები და მოსაზრებები განსახილველად სასწავლო პროცესის, სამედიცინო მომსახურების, კვების, დამატებითი და სხვა ღონისძიებების გაუმჯობესების შესახებ.

#### 4. სასწავლო წლის ხანგრძლივობა და საფასური

4.1. სასწავლო წლის საფასური გათვლილია 2014 -2015 სასწავლო წელზე, რომელიც იწყება 2014 წლის 20 სექტემბრიდან და გრძელდება პირველი კლასისთვის 2015 წლის 20 მაისამდე, (8 თვე) და მეორე-მეექვსე კლასისათვის 2015 წლის 20 ივნისამდე (9 თვე).

4.2. შემკვეთმა შეარჩია სწავლის საფასურის გადახდის ----- ვარიანტი, შესაბამისად სასწავლო წლის საფასური ბონუსებისა და შეღავათების გათვალისწინებით შეადგენს -----  
----- ლარს, რომლის გადახდა ხდება შემდეგი გრაფიკით: -----  
-----  
-----

4.3. შემკვეთი ვალდებულია დეპოზიტი - 1,000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის;

4.4. სასწავლო წლის საფასურში შედის გადასახადები, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაში შემკვეთის მიერ ცალკე გადაიხდება:

ა) მოსწავლის ჩარიცხვის საფასური (არაგარდამავალი);

განმარტება: ყოველ წელს მოსწავლე ხელახლა ჩარიცხება შემდეგ კლასში ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) ადგილის შენარჩუნების გარანტიის საფასური (არაგარდამავალი);

განმარტება: სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლის ავადმყოფობის, კარანტინის, მშობელთა შვებულების და სხვა შესაძლო საპატიო მიზეზით გაცდენილი დროის შემთხვევაში მოსწავლისთვის ჯგუფში ადგილის შენარჩუნება გარანტირებულია.

გ) ზარალის ანაზღაურების ბე, რომელიც შეადგენს შემკვეთის მიერ ამორჩეულ წლიური სასწავლო საფასურის 10%-ს. ბე არ გამოყენების და მომდევნო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში გარდამავალია, სხვა დროს-არგარდამავალი; ბეს გამოყენების (არგარდამავლობის) შემთხვევაში შედგება შესაბამისი ოქმი.

#### 4.5. სასწავლო წლის საფასურით იფარება შემდეგი ხარჯები:

- ა) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები და კომპენსაციები;
- ბ) გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები;
- გ) მატერიალური რესურსების მოვლა-შენახვა და განახლება-რეაბილიტაცია;
- დ) კომუნალური (წყალი, გათბობა-განათება, ვენტილაცია, სან-ჰიგიენური საშუალებები);
- ე) საერთო გამოყენების სასკოლო სახელმძღვანელოები, ლიტერატურა, სასწავლო მასალები;
- ვ) ინფორმაცია და კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი, საფოსტო მომსახურება);
- ზ) დაცვა და უსაფრთხოება (დაცვის პოლიცია და დაცვის სამსახური, უსაფრთხოების კამერები);
- თ) სამეურნეო (გამწვანება და ნარგავების მოვლა);
- ი) მარკეტინგი (რეკლამა, აბრები, ბუკლეტები და ა. შ.);
- კ) მგზავრობა და ტრანსპორტირება;
- ლ) ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების განვითარება (კონფერენციები, გამოცდილების გაზიარების პროგრამები);
- მ) შემსრულებლის მოგება;
- ნ) გიმნაზიის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი სხვა ხარჯები.

4.6. სწავლის საფასური არ ფარავს კვების, ფორმის, ოლიმპიადებში მონაწილეობის, არდადეგების პერიოდში განხორციელებული პროექტებისა სხვა სასწავლო და სპეციალურ ხარჯებს, რაც არ არის გიმნაზიის სასწავლო გეგმის ნაწილი.



## 5. საჯარიმო სანქციები

5.1. შემკვეთის მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადის დარღვევის (ვადაგადაცილების) შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია 30 დღიანი განვადების პერიოდის გასვლის შემდეგ, დააკისროს შემკვეთს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით. ასევე შესაძლებელია მოსწავლე არ იქნას დაშვებული გაკვეთილებზე და შეეზღუდოს სსასკოლო ჩანაწერებისა და ნიშნების ფურცლის მიღების უფლება.

5.2. პირგასამტეხლოს დაკისრება არის შემსრულებლის უფლება და არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების დრო

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 ივნისამდე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების პროლანგაცია (გაგრძელება) შეუძლებელია.

6.3. მომდევნო ხელშეკრულების დადების პირობები

6.3.1. შემკვეთს ეძლევა პრიორიტეტული უფლება მომდევნო სასწავლო წელს, საგანმანათლებლო მომსახურებაზე ხელშეკრულების ხელახლა დადებისა, რომელიც შესაძლებელია:

ა) პედაგოგიური საბჭოს მიერ მოსწავლის აკადემიური შედეგებისა და ქცევის დადებითად შეფასების დამტკიცების შემთხვევაში. (ფორმდება ოქმით);

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულიად შესრულების შემთხვევაში;

გ) მომდევნო სასწავლო წლის საფასურის და დეპოზიტის 2014 წლის 20 ივნისამდე გადახდის შემთხვევაში;

დ) სწავლის საფასურის წლიური ერთდროული გადახდის პაკეტით დროულად გადახდის შემთხვევაში.

## 7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- ბ) ცალმხრივად, შემსრულებლის ინიციატივით, შემკვეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში;
- გ) ცალმხრივად, შემკვეთის ინიციატივით, შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში;
- დ) მოსწავლის გიმნაზიიდან გარიცხვის შემთხვევაში;
- ე) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შემკვეთს 30 დღის განმავლობაში უბრუნდება თანხა დეპოზიტად შეტანილი თანხის მოცულობის ფარგლებში იმ პერიოდის ღირებულების გამოკლებით, როცა მოსწავლე ესწრებოდა სასწავლო პროცესს.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისა განწერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9. განსაკუთრებული პირობები

9.1. ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხარეთა მიერ ფორმდება საგანმანათლებლო მომსახურების შესრულების შესახებ ოქმით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

9.11. მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

9.12. საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება შემსრულებლის მარეგულირებელი დოკუმენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

9.13. ალექსანდრე ლურჯკაიას გიმნაზია (ჯიჯი) განთავსებულია მისამართით: ცაიშვილის ქუჩა № 32, ქალაქი ზუგდიდი, საქართველო.

9.14. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორ) ეგზემპლარად, გააჩნიათ ერთნაირი იურიდიული ძალა და გადაეცა ორივე მხარეს.

## 10. რეკვიზიტები:

<p>«შემსრულებელი»</p> <p>შპს «ალექსანდრე ღურჯკაიას გიმნაზია»</p> <p>2100 საქართველო, ზუგდიდი, ფიფიას ქ. №14 ტელ: +995 595 233 332</p> <p>საიდენტიფიკაციო კოდი 220389559. ანგარიშის</p> <p>№ GE52 თB78 8273 6020 1000 02, ს.ს. „თიბისი ბანკი“</p> <p>ხელმოწერა-----</p>	<p>«შემკვეთი»</p> <p>სახელი, გვარი-----</p> <p>პ/ნ-----</p> <p>მისამართი-----</p> <p>-----</p> <p>ტელ: 1. ----- 2. -----</p> <p>ხელმოწერა-----</p>
--	--